

სამოტივაციო წერილი

საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის წევრი მისი დაარსების დღიდან ვარ. ქარტიის პრინციპების შემუშავების პროცესშიც ვიყავი ჩართული, ეს ორგანიზაცია ჩემთვის ახლოა და ამიტომაც ვგულშემმატკვირობ. თუმცა მთავარი რის გამოც მსურს ის იყოს წარმატებული ქარტიის პრინციპების დაცვის იდეის სამსახურია. თვითრეგულირების ამ მექანიზმის გამოყენებით ჩვენ შევძლებთ, გარედან ჩარევისგან თავის დაცვას ისე რომ არ შევასუსტოთ მედიის ხარისხი. ანუ მთავარი პრინციპი ხელშეუხებლობა კი არ არის, არამედ თვითრეგულაცია, რათა საზოგადოებას ჰქონდეს განცდა რომ ჩვენ შეგვიძლია პრობლემის დანახვა და ანალიზი. შეგვიძლია ვიყოთ თვითკრიტიკულები, გვაქვს უნარი ვიმუშაოთ მთავარი პრინციპების დაცვით - პატივი სცე სიმართლეს და საზოგადოების უფლებას მიიღოს ზუსტი, მიუკერძოებელი ინფორმაცია, იმოქედოს სინდისის კარნახით, არ გააყალობოს ფაქტები და ასე შემდეგ. ამ კეთილშობილური საქმის კეთება არ არის ადვილი მაგრამ ქარტია ამ დრომდე ახერხებდა ყოფილიყო სანდო.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, მან უნდა გააერთიანოს, გაამლიეროს და სოლიდარობის განცდა შექმნას თავად ჟურნალისტებს შორის. დღეს ჩემი აქტიურობის მოტივაციორიც სწორედ ის არის რომ ამ მიმართულებით პრობლემებს ვხედავ.

ყოველ წელს, ქარტიის ერთადერთ სხდომაზე, გადაწყვეტილების მისაღებად კვოტის შეგროვება გვიჭირს. ეს ფაქტი მართლაც დამაფიქრებელია. თუმცა, ამის მიუხედავად ქართლის ეფექტურად ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირები, ამას არასწორი პოლიტიკის შედაგად არ მიიჩნევენ და ხშირად ხელს სხვისკენ იშვებენ.

მე, როგორც ქარტიის წევრების მიერ არჩეული, სარევიზიო კომისიის წევრი და ახლა უკვე გაცილებით ინფორმირებული ქარტიის საქმიანობის შესახებ, ვფიქრობ, ქარტიის საბჭოს ერთ-ერთი დიდი პრობლემა უკუკავშირე უარის თქმაა. ამ დამოკიდებულებამ საბოლოოდ მოიტანა გაუცხოება ქარტიის საბჭოსა და მის წევრ, ჟურნალისტებს შორის. შენიშვნებს, რისკებს და ნაკლოვნებებს რომელიც დაგროვდა კომისია ქარტის საქმიანობასთან დაკავშირებით წლიურ ანგარიშში ასახავს, თუმცა მაქვს განცდა რომ ეს კრიტიკული ანალიზი და მოსაზრება ქარტიის ადმინისტრაციისთვის ანგარიშგასაწევი არ არის.

სარევიზიო კომისიაში არჩევის დღიდან გვიწევს კამათი იმაზე თუ რისი მონიტორინგის უფლება აქვს სარევიზო კომისიას. მაქვს განცდა რომ სარევიზიო კომისიის ლეგიტიმურ მოთხოვნას, გაანალიზოს ორგანიზაციის მართვის ეფექტურობა ადმინისტრაცია ეწინააღმდეგება. აღმასრულებელი დირექტორი, მთავარი დოკუმენტის, საქართველოს ჟურნალისტთა ქარტიის წესდების, გვერდის ავლით, ცდილობს ჩარჩოებში მოაქციოს კომისიის საქმიანობა. გუწრფელად მინდა ვთქვა, რომ მე ეს ძალიან მაშფოთებს. ორგანიზაცია საკმაოდ დიდხანია არსებობს თუმცა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ადმინისტრაციული საქმიანობის კუთხით ბევრი ნაკლი და გაურკვეველობაა ამ დროს ამ ტიპის მართვა საფრთხეს უქმნის ქარტიის ავტორიტეტს. ამ რესურსის გამოყენება არ ხდება შიდაპოლემიკისა და დისკუსიისთვის, მათ შორის იმის გასაგებად თავად ჟურნალისტებს რა პრობლემები და სირთულეები აქვთ. არ ხდება ანალიზი რა გამოწვევები აქვს მედიას დღეს საქართველოში. სწორედ აქ, ამ სივრცეში უნდა იყოს დისკუსია.

ქარტია მოქმედებს მისი წევრების სახელით თუმცა თავად ქარტიის წევრ ჟურნალისტებს არ რთავს პრიორიტეტების შემუშავებაში, პოლიტიკის განსაზღვრაში, უფლებელყოფს ჟურნალისტების მოსაზრებებს. არ ცდილობს ჰკითხოს რა სისუსტეებს ხედავენ ისინი ქარტიის მუშაობაში. იმ დროს როცა ქარტია აქვს იმის ფუფუნება რომ დონორების დაფინანსებით, სპეციალისტებთან ერთად გამართოს სტრუქტურა, თავისი ფუნქცია მოვალეობებით და გახადოს უფრო ქმედითი მისი მუშაობა მეჩვენება რომ სულ უფრო მეტად ხდება კომფორტის ზონის შექმნა თავად ადმინისტრაციისთვის, ამის მაგალითია ის ინიციატივები რომელიც ელექტრონული კენჭისყრის წესით სურთ გაატარონ მაგრამ ვერ იღებენ ქარტიის წევრებისგან მხარდაჭერას.

უკუკავშირის ერთადერთი მექანიზმი დონორის მიერ შემოთავაზებული ფოკუსჯგუფებია. თუმცა ამ შემთხვევაშიც ქარტიის ადმინისტრაციას როგორც ჩანს არ სურს რეალური სურათის გაგება. ის ორიენტირებულია მის ფორმალური ჩატარებაზე. განვითარების დინამიკის შეფასებისთვის ისეთ ადამიანებს უკავშირდება ვინც პირდაპირ და ყველაზე მეტად არიან ჩართული პროცესში. მაგალითად საბჭოს ყოფილ წევრებს, ქარტის რეგონულ წარმომადგენლებს, ბუნებრივია მათ ყველაზე მეტად აქვთ ქარტიის მუშაობაზე წარმოდგენა თუმცა არც მათი მხრიდან არის სახარბიელოდ დახატული გარემო.

ქარტია არ არის მენტორების და დამსჯელი ჯგუფის თავმოყრის ადგილი, ქარტია თანამოაზრეების სივრცე უფროა, სადაც ადამიანები ერთმანეთს აძლიერებენ და ეხმარებიან სამართლიანი კრიტიკით.

სწორედ ამ საფრთხეების ანალიზი მიქმნის განწყობას რომ უფრო მეტად ჩავერთო და მეტი გავაკეთო ამ ორგანიზაციისთვის რომელზეც როგორც თავიდანვე ვთქვი, გარკვეულ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ.

ადმასრულებელი დირექტორის პოზიცია მომცემს საშუალებას ქარტიის პოლიტიკა ბევრი მიმართულებით შევცვალოთ. მეტად დავხვეწოთ სტრუქტურა, წევრებთან ერთად და მათი გამოკითხვის საფუძველზე განვსაზღვროთ პრიორიტეტები, ეს უნდა იყოს ორგანიზაციის მთავარი მამოძრავებელი. მხოლოდ ეს შეიძლება გახდეს გარანტი რომ აცდენა მიზნებს, ამოცანებსა და საქმიანობას შორის არ მოხდეს. ჩემი სურვლია ასევე ეს სივრცე იქცეს მედიაგარემოს შეფასებისთვის დისკუსიის ადგილად რომელშიც ასევე იქნებიან ჩართული საქართველოს სხვადასხვა კუთხის მედიის წარმომადგენლები. ამ ტიპის ანალიზი აკლია დღეს ქართულ მედიას.

ჩემი გამოცდილება ადმინისტრაციული საქმიანობის კუთხით არ არის დიდი მაგრამ საკმარისია იმისთვის რომ უფრო მეტად ქმედითი გავხადო ორგანიზაციის საქმიანობა. არ მინდა ძალიან კრტიკული ვიყო მაგრამ როგორი ავტორიტეტულიც არ უნდა იყოს ორგანიზაცია თუ მისი წევრები უკმაყოფილოები არიან საერთო პოლიტიკით ის გახდება ფორმალური ან დაიშლება. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის რომ ქარტია იყოს ადგილი მედიის შიგნით დისკუსიის, პრობლემის განხილვის კუთხით. ჩვენ უნდა გავხდეთ ორიენტირებული წევრებზე, რომლებსაც დღეს ქარტია საწევროს სთხოვს, მაგრამ ვერ იღებს. მინდა უფრო მეტად იყვნენ ჟურნალისტები პრიორიტეტების განსაზღვრაში ჩართულები, მეტად ჰქონდეთ განცდა რომ აქ კოლეგიალური გარემოა, ასე უფრო ეფექტურად შევძლებთ შევცვალოთ ზოგადად მედიის ხარისხი.